



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

წაკითხულის გააზრება დაწყებით კლასებში

ნინო გოგოჩაშვილი

ქეთევან ნარიმანიძე

თეონა ჩაფიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე განათლების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

გვერდი

აბსტრაქტი -----	4
შესავალი -----	6
ლიტერატურის მიმოხილვა -----	11
კვლევის მეთოდები -----	14
პროექტის მონაწილე მხარეები -----	14
კვლევის კომისია -----	14
სამიზნე ჯგუფი -----	14
საკვლევი საკითხები -----	14
მეთოდოლოგია -----	15
შერჩევა -----	15
მონაცემთა შეგროვების მეთოდები -----	16
პროექტის განხორციელების ვადები -----	17
ინტერვენციამდე ჩატარებული კვლევის შედეგების აღწერა-----	19
ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან -----	19
მშობელთა გამოკითხვა -----	20
მოსწავლეთა ტესტირება -----	21

ინტერვენციები -----	23
ინტერვენციების განხორციელება -----	24
ინტერვენციის შედეგების შეფასება -----	29
რეკომენდაციები -----	32
დანართი -----	33
გამოყენებული ლიტერატურა -----	43

აბსტრაქტი

პრაქტიკული კვლევა განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლაში. კვლევის მიზანი იყო აღნიშნული სკოლის დახმარება დაწყებით კლასებში წაკითხული ტექსტის გააზრების შედეგების გაუმჯობესებაში. კვლევის კომისია ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული კათედრის ხელმძღვანელისა და დაწყებითი საფეხურის ოთხი მასწავლებლის შემადგენლობით.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი: ინტერვიუ სკოლის დირექტორთან, ფოკუს-ჯგუფი დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან და მოსწავლეთა ტესტირებული გამოკითხვა.

მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით განისაზღვრა პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზები:

1. წინა სასკოლო მომზადების დაბალი დონე (კერძოდ, მოსწავლეებს აქვთ მეტყველების პრობლემა);
2. მშობელთა დაბალი ჩართულობა;
3. ეროვნული სასწავლო გეგმით ქართული ენისათვის განსაზღვრული არასაკმარისი საათების რაოდენობა;
4. კითხვის სწავლების მეთოდები;
5. მასწავლებელთა გადამზადება–დატრენინგება ამ მიმართულებით;

საკვლევი საკითხების იდენტიფიცირების შემდეგ განისაზღვრა ინტერვენციები, რომელთა განხორციელებამაც ხელი შეუწყო სკოლაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

განხორციელებული ინტერვენციებით მიღებული შედეგების ანლიზიდან გამომდინარე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლეებთან სასურველი შედეგის მიღწევას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: დაწყებითი კლასები, კვლევა, გააზრებული კითხვა.